საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 8893/01
17/09/2020

8893-01-2-202009171110

შპს „რუსთავის ფოლადს“

მის: ქ. რუსთავი, გაგარინის ქ. N12

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 18 აგვისტოს N13043 წერილი, რომელიც ეხება ქ. რუსთავში, შპს „რუსთავის ფოლადის“ დღე-ღამეში 100 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენის განთავსებისა და დამუშავების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ წიდასაყარის საზღვარსა და მდ. მტკვარს შორის უმცირესი მანძილი შეადგენს დაახლოებით 68 მ-ს. წარმოდგენილი ინფორმაციის ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ უმცირესი მანძილი მდ. მტკვარსა და წიდასაყარს შორის დაახლოებით 40 მეტრია. აღნიშნული ცდომილება აგრეთვე თვალსაჩინოა ნახაზი 4.1.1 და 4.1.2-ზეც. მდ. მტკვარსა და წიდასაყარს შორის მანძილის გათვალისწინებით, საპროექტო მიწის ნაკვეთებზე ან მათ ნაწილზე შესაძლოა ვრცელდებოდეს მდ. მტკვრის წყალდაცვითი ზოლი, რომლის სიგანე არსებული კანონმდებლობით შეადგენს 50 მეტრს და აითვლება მდინარის კალაპოტის კიდიდან ორივე მხარეს. წყალდაცვითი ზოლის გავრცელების პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონით „წყლის შესახებ“ და „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 დადგენილებით, კერძოდ, ტექნიკური რეგლამენტის მე-3 და მე-4 მუხლებით დადგენილია წყალდაცვით ზოლში მოხვედრილ მიწის ნაკვეთზე საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული აკრძალვები და მოთხოვნები. აღნიშნული გარემოება გათვალისწინებულ უნდა იქნეს, ასევე, გზშ-ის ანგარიშში;

გზშ-ის ანგარიშში, თავი 4.9-ში (საწარმოს მოწყობის ეტაპზე და ფუნქციონირების დროს შესაძლო ავარიული სიტუაციები) აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორიის მთლიანი ფართობი შეადგენს 161258.00 $მ^2$-ს, მაშინ როდესაც აღნიშნული ფართობის მქონე მიწის

ნაკვეთი თავი 4.1-ში (ზოგადი მიმოხილვა) მიჩნეულია გამწვანებულ ტერიტორიად და მასზე რაიმე საწარმოო პროცესების განხორციელება დაგეგმილი არ არის;

გზშ-ის ანგარიშში სანიაღვრე წყლების შეკრებისა და მართვის საკითხები განხილულია მექანიზაციისა და ტრანსპორტის უბნის მხოლოდ იმ ნაწილზე, სადაც წარმოებს საამქროს კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების საწვავით გამართვა. თუმცა ბუნდოვანია სანიაღვრე წყლების შეკრებისა და მართვის საკითხები წიდასაყარის ტერიტორიაზე არსებულ სხვა საწარმოო უბნებზე;

გზშ-ის ანგარიშში (თავი 6.4.2 შემარბილებელი ღონისძიებები) აღნიშნულია, რომ ხმაურის გავრცელების პრევენციის მიზნით, საწარმოს ტერიტორიის პერიმეტრზე (სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მხარეს) და შპს „რუსთავის ფოლადის“ დაქვემდებარებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 02.06.01.071) განხორციელდება ხე-მცენარეების დარგვა-გახარების სამუშაოები. აღნიშნული გადაწყვეტა ვერ იქნება მიჩნეული უახლოეს მოსახლემდე (875 მეტრი, სოფ. თაზაქენდი) ხმაურის შემარბილებელ ღონისძიებად, რადგან გამწვანების ზონა მდებარეობს წიდასაყარის უკიდურესი დასავლეთი საზღვრის მომიჯნავედ (ს/კ 02.06.01.071), ხოლო უახლოესი მოსახლე უკიდურესი ჩრდილოეთი საზღვრიდან - 875 მეტრში;

წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში, ცხრილი 4.3.2.1.2-ში (საწარმოში დასამუშავებლად შემოტანილი ნარჩენების სახეობები) მოცემული ნარჩენები, მათ შორის კოდებით: 10 02 08, 10 02 12, 10 02 14, 10 03 16, 10 03 20, 10 03 22, 10 03 24, 10 03 26, 10 03 28, 10 03 30, 10 05 09, 10 05 11, 10 08 11, 10 08 16, 10 09 06, 10 09 08, 10 09 10, 10 09 12, 10 09 14, 10 09 16, 10 10 06, 10 10 10, 10 10 12, 10 10 14, 10 10 16, 10 13 10, 10 13 13, 17 01 07, 17 04 11, 17 09 04 წარმოადგენს სარკისებური ნარჩენების კოდებს. გაცნობებთ, რომ „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ამ წესის II დანართში ხელმისაწვდომია სარკისებური კოდი, ნარჩენების კლასიფიკაცია უნდა მოხდეს სახიფათო ნარჩენებად, ვარსკვლავით (*) აღნიშნული კოდით. ამავე დადგენილების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას, სამინისტროს თანხმობით, ნარჩენებს შესაძლებელია მიენიჭოს არასახიფათო ნარჩენების კლასიფიკაცია იმ შემთხვევაში, თუ ნარჩენების წარმომქმნელი მიმართავს ასეთი მოთხოვნით სამინისტროს და წარადგენს წარმოქმნილი ნარჩენების არასახიფათობის შესახებ მტკიცებულებას. წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშს თან არ ახლავს აღნიშნული ნარჩენების არასახიფათობის შესახებ მტკიცებულება, შესაბამისად აღნიშნული ნარჩენები განხილული უნდა იყოს როგორც სახიფათო ნარჩენი და კლასიფიცირება უნდა განხორციელდეს „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად;

ამასთან, ამავე დადგენილების მე-8 მუხლის თანახმად, წარმოქმნილი ნარჩენების არასახიფათობის შესახებ მტკიცებულება უნდა მოიცავდეს აკრედიტებული ლაბორატორიის დასკვნას, ნარჩენების არასახიფათობის დასადგენად, ნარჩენების შემადგენლობაზე ჩატარებული ანალიზების საფუძველზე, ან/და იმ პროცესების/საქმიანობის მახასიათებლების შეფასებას, რომლიდანაც წარმოიქმნება ნარჩენები. სამინისტრო უფლებამოსილია, არ დააკმაყოფილოს ნარჩენების წარმომქმნელის

მოთხოვნა ნარჩენების არასახიფათოდ კლასიფიცირების შესახებ და დასაბუთებული გადაწყვეტილება აცნობოს მოთხოვნის მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. წიდასაყარზე განთავსებული ლითონშემცველი წიდის შემადგენლობის თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენა აუცილებელია, ასევე, წიდის მიღება/შენახვა/გადატვირთვის ოპერაციებისა და გადამუშავების შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობისა და რაოდენობრივი მაჩვენებლების დასაბუთების მიზნით.

სკოპინგის ანგარიშის (თავი 2.3) თანახმად, დაგეგმილი იყო დღე-ღამეში 100 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენის განთავსება და დამუშავება. სკოპინგის დასკვნის მიხედვით, გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა ყოფილიყო როგორც ნარჩენების კოდები, ასევე მათი განთავსების ოპერაციების კოდები. თუ კომპანია გეგმავს ნარჩენების მუდმივ განთავსებას და განთავსება ხორციელდება D1 ოპერაციით, უნდა მოეწყოს „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 აგვისტოს N421 დადგენილების შესაბამისად, თუ D15 ოპერაციით - მაშინ გასათვალისწინებელია, რომ ამ შემთხვევაში ნარჩენების შენახვა მათ საბოლოო განთავსებამდე შესაძლებელია მხოლოდ 1 წლამდე ვადით და სხვა.

წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშის თანახმად, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ნარჩენები ტერიტორიაზე განთავსდება აღდგენის მიზნით, საწარმოში ნარჩენების შემოტანა და განთავსება, „ნარჩენების მართვის კოდექსის“ პირველი დანართის შესაბამისად, წარმოადგენს აღდგენის ოპერაციას, კოდით - R13, რაც მოიცავს R1-დან R12-ის ჩათვლით კოდებში ჩამოთვლილი ნებისმიერი ოპერაციისთვის განკუთვნილი ნარჩენების დასაწყობებას (ეს არ მოიცავს ნარჩენების წარმოქმნის ადგილზე დროებით დასაწყობებას, შეგროვებისთვის მომზადებას). ამასთან, მითითებულია, რომ წინამდებარე გზშ-ს ანგარიში ეხება შემდგომი გადამუშავების მიზნით, დღე-ღამეში 100 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენის განთავსებას (მეტალურგიული წარმოების ნარჩენების (წიდები, ხენჯი, მტვერდამჭერი სისტემებიდან მიღებული მტვერი და სამშენებლო ნარჩენების განთავსება). აღნიშნული საქმიანობა განეკუთვნება გზშ-ის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას. რაც შეეხება საწარმოში წიდების და სამშენებლო ნარჩენების სამსხვრევ დამხარისხებელ დანადგარებზე დაქუცმაცებას და სორტირებას, ეს საქმიანობა ,,ნარჩენების მართვის კოდექსის” მე-3 მუხლისა და ამავე კოდექსის მე-2 დანართში მოცემული აღდგენის ოპერაციების გათვალისწინებით, განეკუთვნება R12 ოპერაციის კოდით განსაზღვრულ საქმიანობას და ექვემდებარება რეგისტრაციას. რაც შეეხება სამშენებლო მასალების წარმოებას, წიდების დამუშავების შედეგად მიღებული არამეტალური ფრაქციები წარმოადგენს სამშენებლო ნედლეულს და არა ნარჩენს, ამიტომ, აღნიშნული ნედლეულით, სამშენებლო მასალების წარმოება არ განეკუთვნება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ რეგულირების სფეროს და საქმიანობა, სხვა დაგეგმილი საქმიანობების მსგავსად განხორციელდება დამოუკიდებლად, იმ განსხვავებით, რომ მასზე გავრცელდება გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნები.

,,ნარჩენების მართვის კოდექსის” მიხედვით, აღდგენის ოპერაციის კოდი - R12 (ნარჩენების გაცვლა) ამავე კოდექსის პირველ დანართში ჩამოთვლილი აღდგენის ოპერაციების განსახორციელებლად, შეიძლება მოიცავდეს ნარჩენების წინასწარ დამუშავებას ნარჩენების აღდგენამდე, მათ შორის, წინასწარი დამუშავების ისეთ ოპერაციებს, როგორებიცაა: დაშლა, სორტირება, დამსხვრევა, დაპრესვა, გრანულირება, გაშრობა,

დაქუცმაცება, კონდიცირება, გადაფუთვა, სეპარირება ან შერევა R1-დან R11-მდე კოდებში მოცემული რომელიმე ოპერაციის განსახორციელებლად ჩაბარებამდე). გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ წიდისა და ჯართის გადამამუშავებელი საწარმოს მიმდინარე საქმიანობა ,,ნარჩენების მართვის კოდექსის" პირველი დანართის შესაბამისად წარმოადგენს აღდგენის ოპერაციას, კოდით R13. გაცნობებთ, რომ R13 კოდი მოიცავს ნარჩენების დროებით დასაწყობებას და არა ნარჩენების განთავსებას. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტზე ნარჩენები ინახება 3 წელზე ნაკლები დროით, თუ ნარჩენები განკუთვნილია აღდგენისთვის.

იქიდან გამომდინარე, რომ წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშის თანახმად (თავი 4.3.2.2), საწარმოში განხორციელდება მხოლოდ არასახიფათო ნარჩენების შემოტანა, განთავსება და დამუშავება, ხოლო არალითონური ფრაქციები აღდგენის მიზნით გადატანილი იქნება ამავე წიდასაყარზე დაგეგმილ სამშენებლო მასალების წარმოების უბანზე, რომელიც განხორციელდება დამოუკიდებელ საქმიანობად და არ განეკუთვნება ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" რეგულირების სფეროს, გზშ-ის ანგარიშში მოცემული საქმიანობა, კანონმდებლობით დადგენილი წესით არასახიფათო ნარჩენებად კლასიფიკაციის შემთხვევაში, წარმოადგენს არასახიფათო ნარჩენების წინასწარ დამუშავებას. ამასთან გაცნობებთ, რომ ,,ნარჩენების მართვის კოდექსის" 26-ე მუხლის თანახმად 50 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ექსპლუატაცია, ასევე არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება რეგისტრაციას დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა და არ წარმოადგენს ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" რეგულირების სფეროს. ამასთან, ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობები, რომლებიც ექვემდებარებიან რეგისტრაციას, გათვალისწინებულია ,,ნარჩენების მართვის კოდექსის" 26-ე მუხლით. ,,ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესი და პირობები" განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N144 დადგენილებით. წარმოდგენილ ანგარიშში მოცემულია, მხოლოდ რეგისტრაციას დაქვემდებარებული საქმიანობები. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში დასაზუსტებელია იმ საქმიანობების ჩამონათვალი, რომლებიც ექვემდებარება გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

გზშ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ განთავსებულია ნაცარსაყრელი. აღნიშნული ნაცარი, წარმოადგენს მეტალურგიული წარმოების ე. წ. ,,ელექტროცენტრალის'' ნაცარს. რომელიც აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსდა 90-იან წლებამდე, როდესაც, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა სრული ციკლით მუშაობდა. მოქმედი კანონმდებლობით, შეესაბამება ნარჩენის კოდი 10 01 01. სკოპინგის დასკვნის თანახმად, დაზუსტებას და დეტალური ინფორმაციის წარმოდგენას საჭიროებდა რა იგულისხმებოდა ტერმინში ,,ნაცარსაყარი" და მისი მართვის საკითხები, მათ შორის ,,ნარჩენების მართვის კოდექსის" პირველი ან/და მეორე დანართით გათვალისწინებული ოპერაციის კოდ(ებ)ი, რაც არ არის წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასაზუსტებელია როგორც ნარჩენების კლასიფიცირების, ასევე დაგეგმილი საქმიანობების საკითხები, რის შემდგომაც უნდა მოხდეს დიფერენციაცია აღნიშნული საქმიანობები ექვემდებარება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" გათვალისწინებულ პროცედურებს თუ ,,ნარჩენების მართვის კოდექსით" განსაზღვრულ რეგისტრაციას დაქვემდებარებულ საქმიანობებს. ამასთან, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" I ან/და II დანართით გათვალისწინებული საქმიანობების შემთხვევაში, წარმოდგენილ უნდა იქნეს კოდექსის დანართების შესაბამისი

პუნქტი/ქვეპუნქტი და ნარჩენების აღდგენის ან/და განთავსების ოპერაციების კოდები და აღწერილობა/ები „ნარჩენების მართვის კოდექსის” I ან/და II დანართის შესაბამისად.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე